ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4252102

ნომერი: AR1642176

თარიღი : 06.11.2018

გაცემის თარიღი : 09.11.2018

გაცნობის თარიღი : 03.12.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ორბელიანი , N 8 , N 10 , (ნაკვეთი N 005/016);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გელა ხიზანიშვილი პ/ნ 20001010955
- საქართველო, თელავის მუნიციპალიტეტი, ქალაქი თელავი, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩა, N 39

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "ბილდერი" კოდი: 431173534

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. ბილდერი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 431173534
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გელა ხიზანიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 20001010955

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2254114
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 21.10.2015

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დარეჯან შათაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ორბელიანის ქ. N8, N10 (ნაკვეთი N005/016)-ში არსებულ შენობაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების არქიტექტურული პროექტის კორექტირების საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, რომ როგორც არსებული სიტუაციის ფოტომასალით (რომლებზეც დამუშავებულია ფოტომონტაჟი) დგინდება კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილი, უკვე ნაწარმოებია. განგიმარტავთ - კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 24–ე მუხლის თანახმად აკრძალულია ძეგლზე რაიმე სახის სამუშაოეს ჩატარება ამ კანონით დადგენილი შესაბამისი ნებართვის გარეშე. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებიც და უძრავი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც საჭიროებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების ნებართვას. თქვენს მიერ მოთხოვნილი სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე ვრცელდება საქართველოს კანონი "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ". აღნიშნული კანონი კი არ ითვალისწინებს, ძეგლზე შესაბამისი ნებართვის მიღებამდე სამშენებლო სამუშაოების წარმოებას და ძეგლზე უკვე ნაწარმოებ სამუშაოებზე ნებართვის გაცემას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ქ. თბილისში, ორბელიანის ქ. N8, N10 (ნაკვეთი N005/016)-ში არსებულ შენობაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების არქიტექტურული პროექტის კორექტირების თაობაზე თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.